# ჩვენი გზა

№ 36

თფილისი

1907

პარასკევი, 19 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა [illegible] ბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 36 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 36



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობით ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11-დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжская № 35.

გაზეთ **„ჩვენი გზა“**-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ**.

**მარიამ მიხეილის ასული, ივანე, ალექსანდრე, დავით და ევა ხანდამიშვილები, ოლგა ჯავახიშვილისა და სოფიო მარტიროზოვისა, პეტრე ხანდამიშვილი და მარიამ ედიბრაშვილისა და დარია მგალობლიშვილისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელი მეუღლის, მეორენი—მამის და უკანასკნელნი ძმის და სიძის

### ვასილ ზაქარიას ძე ხანდამიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდენ 21 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ავლაბარში—„როზოვაია პლოშჩად“ № 1, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე.

ამხანაგები მწუხარებით აცხადებენ, რომ 17 ოქტომბერს ქალაქ გორში გარდაიცვალა ამხანაგი

### სტუდენტი დავით მელიქიშვილი

ანნა ივანეს ასული ცალქალამიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მეუღლის

### გიორგი მიხეილის ძის ცალქალამიძისას.

პანაშვიდი იქნება გადახდილი ყოველ დღე 5 საათზე, საღამოობით. გამოსვენება მოხდება დილის 9 საათზე, კალოუბნის ეკლესიაში, შაბათს, 20 ოქტომბერს. ადრესი: იზმაილოვის ტუპიკი, № 4. (1—ფ—1)

—✦ ექიმი ✦—

### ივ. გომართელი

1-ლ ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს **თფილისში.**

**გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.**

მედიცინის დოქტორი

### ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

კბილის ექიმი

### სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკიი სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

### УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав.—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

(10—7) **С. А. ГРЯЗНОВЪ.**

**რუსეთიდან** მოსული ქალი ეძებს ადგილს, შეუძლია ყოველივე ოჯახური საქმე გააკეთოს. (5—6.—1)

### ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი **„სიმპატია“** და **„ინტელიგენტი“**, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—6—9.


## სოციალდემოკრატიის გამარჯვება

თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არჩევნებში გამარჯვება ისევ სოციალდემოკრატიას ერგო. ამ ფაქტს ორგვარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. პირველ ყოვლისა სოც.-დემ. გამარჯვება მთავრობის პოლიტიკის სასტიკი დამარცხებაა. შესცვალეს საარჩევნო კანონი მემამულეების სასარგებლოთ, მიიღეს განსაკუთრებული ზომები „კრამოლის“ დასათრგუნავათ, მარა მიუხედავათ ამისა, ხალხმა მაინც უკიდურესი ოპოზიციის წარმომადგენლები გაიყვანა, ეს არის დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ; ამ ფაქტში სავსებით გამოიხატა ის განუსაზღვრელი სიძულვილი, რომელსაც გრძნობს ფართო მასსა ძველი რეჟიმისადმი. სოციალდემოკრატია დღევანდელი დახავსებული წყობილების დაუძინებელი მტერი, განხორციელებული მისი წინააღმდეგობაა; სოციალდემოკრატების გამარჯვება არჩევნებში—ეს ამ წყობილების პირდაპირი და აშკარა უარისყოფაა. თავისი ამნაირი მოქმედებით ჩვენმა ხალხმა ერთხელ კიდევ აღიარა საქვეყნოთ, რომ მას ეზიზღება ძველი ცხოვრება და იბრძვის თავისუფლებისთვის.

მარა ეს ზემო აღნიშნული ფაქტის მხოლოდ ერთი საყურადღებო მხარეა. მეორე და პირველზე უფრო საყურადღებოა ის გარემოებაა, რომ ამ არჩევნებში დამარცხდა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტები, რომლებიც ერთი ხანია აგერ შეერთდენ სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან მის დასამცირებლათ. სოციალდემოკრატიის განადგურება—აი რა ამოძრავებს და ხშირათ ერთათ თავს უყრის ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტებს! წარსულმა არჩევნებმა ნათლათ გამოააშკარავა მათი ნამდვილი ფიზიონომია. ცრუ სოციალისტები მხარს უჭერდენ მემამულეთა კანდიდატებს, „უბრალო პროგრესისტის“ გამარჯვება გახდა ამათი სანეტარო ოცნება. თავისი არარაობის, თავისი ანტი-დემოკრატიული და ანტი-რევოლიუციონური სურვილების დასაფარავათ მათ წინ წამოაყენეს „ჭეშმარიტი ქართველობა“ „სამშობლოს მოღალატე და მისი უარის მყოფი“ სოციალდემოკრატიის გასაშავებლათ. მარა ცდამ ამაოთ ჩაიარა და სოციალდემოკრატია ისევ უძლეველი დგას თავის პოზიციაზე და თავის გარშემო იკრებს ჩვენი ქვეყნის კულტურულ და პროგრესიულ ძალებს. ღარიბი გლეხკაცობა, მუშები, ქალაქის ღარიბი მცხოვრები აი, ვინ უჭერდა მხარს სოციალდემოკრატიას. მათ დაუპირდაპირდა „ჭეშმარიტ ქართველის“ მანტიაში გახვეული მემამულეები, ბურჟუები და ჩვენი მცონარე ბურჟუაზიული ინტელიგენცია. თფილისის გუბერნიაში, სადაც ქართველების გარდა სხვა ეროვნების ხალხიც ცხოვრობს, „ჭეშმარიტ ქართველებს“ გვერდში ამოუდგა და მხარი გაუმაგრა „ჭეშმარიტმავე“ სომხებმა და თათრებმა. სამაგიეროთ, სოც.-დემოკრატიის მხარეზე იდგა სომეხი გლეხი და თათარი გლეხი, სხვადასხვა ეროვნების გაბატონებული კლასები შეერთდენ „წითელი საფრთხის“ თავიდან ასაშორებლათ. მათ თავიანთ შორის ატეხილ „ოჯახურ“ კინკლაობას თავი გაანებეს და საერთო ძალღონით იერიში მიიტანეს სოციალდემოკრატიაზე. ნაციონალიზმი დაირღვა სოციალიზმის წინაშე და წინ წამოდგა გაბატონებული და მყვლეფელი კლასების ინტერნაციონალური კავშირი. ამ მხრით თუ შევხედავთ საქმეს, ანდრონიკაშვილი, რომელიც მემამულეებმა წამოაყენეს სოციალდემოკრატების წინააღმდეგ, „სიძულვილის კანდიდატი“ იყო. სხვა ალაგას და სულ სხვა პირობებში შეიძლება ასეთი კაცისათვის მათ მხარი არ დაეჭირათ, მარა სურვილი სოც.-დემ. დამარცხებისა იმდენათ ძვალ-რბილში გამჯდარი აქვთ, რომ ამისთვის ყველაფერი დასთმეს. ამ გარემოებას კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ჩვენი მშრომელი ხალხი. ნაციონალური ანტაგონიზმი ქრება იქ, სადაც თავს იჩენს შეგნებული კლასიური ბრძოლა, სადაც გაყვლეფილი და ქონებას მოკლებული კლასები იგნებენ თავიანთ მდგომარეობას და ბრძოლას უცხადებენ გამყვლეფელთ და ქონებით აღჭურვილ კლასებს. თფილისის გუბერნიის არჩევნები ამ ჭეშმარიტების ცოცხალი დასაბუთებაა.

## მომავალ დუმაზე.

### II.

მესამე დუმა, თავისი დიდი უმრავლესობით, მთავრობის მომხრე იქნება და ეს უკანასკნელი მისი დახმარებით მოახერხებს ბოლო მოუღოს ხალხის მოძრაობასო—გაიგონებთ ამ ჟამათ ზოგიერთებისაგან. ასეთ მსჯელობას, ასეთ ლოღიკას არაფერი საერთო არა აქვს სერიოზულ პოლიტიკურ აზროვნებასთან და იგი შეადგენს საკუთრებას იმ პოლიტიკურ ბრუტიანებისას, რომლებიც ზერელეთ უცქერიან ცხოვრების განვითარებას.

დავიჯეროთ, რომ მომავალი დუმა, თავისი უმრავლესობით, მთავრობის მომხრე აღმოჩნდება. მაგრამ განა დასაჯერებელია ის, რომ ასეთი დუმის შემწეობით მთავრობა მოახერხებს ხალხის მოძრაობის აღმოფხვრას? ჩვენი ღრმა რწმენაა: როგორიც უნდა იყოს დუმა, მარტო მისი არსებობაც-კი უეჭველათ ხელს შეუწყობს ხალხის გათვითცნობიერებას და მით მისი მოძრაობის განვითარებას.

რასაკვირველია, თუ ჩვენ ხალხის დღევანდელ ხანგრძლივ სიჩუმეს იმის საბუთათ მივიჩნევთ, რომ ხალხს მიდრეკილება აქვს თავის მდგომარეობას შეურიგდეს და საბოლოოთ ხელი აიღოს ბრძოლაზე, ამ შემთხვევაში ჩვენ იმასაც ადვილათ დავიჯერებთ, რომ მთავრობას მორჩილ დუმის შემწეობით არ გაუძნელდება საბოლოოთ მოსპოს ისედაც მოსპობისაკენ მიდრეკილი მოძრაობა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ დღევანდელი „სიჩუმე“ ჩვენ ოდნავაც არ გვიმტკიცებს ხალხის და მისი მოძრაობის ასეთ მიდრეკილებას. დღევანდელი სიჩუმე ჩვენ გვიმტკიცებს მხოლოდ იმას, რომ გაიარა ხალხის პირველ აზვირთების, პირველ აფეთქების ხანამ, და დადგა ხანა ხალხის ჩუმი მზადებისა, მის მიერ ახალ ძალების შემოკრებისა მომავალ ახალ აზვირთებისათვის.

ის ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს ხალხის მოძრაობა, დღეს კვლავ სრული თავისი ძალით არსებობენ და შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ კიდევ უფროც ღრმავდებიან. ამ მხრივ, დღევანდელ სიჩუმის მომენტსა და წარსულ პობოქრობის მომენტს შორის, ის მთავარი განსხვავებაა, რომ დღეს აღარ არსებობს ისეთი პირდაპირი მწვავე მიზეზი, რომელმაც იაპონიის ომის სახით მაგარი მუჯლუგუნი წაჰკრა ხალხის მოძრაობას ამ ორი წლის წინათ. მოძრაობა ამა თუ იმ სახით წინათაც არსებობდა, იგი რუსეთ-იაპონიის ომის მუჯლუგუნით მხოლოდ აზვირთდა და რევოლიუციათ გადაიქცა; მაგრამ შემდეგ კი, განიცადა რა დამარცხება, მან ისევ ძირს დაუშვა თავისი ტალღები და სიჩუმის კალთებ ქვეშ აშოეფარა.

შესაძლებელია ასეთ მდგომარეობაში დარჩეს ხალხის მოძრაობა მანამ, ვიდრე კვლავ მუჯლუგუნს არ წაჰკრავს და კვლავ არ ააზვირთებს მას რომელიმე „მწვავე მიზეზი“. მაგრამ პირველ აზვირთების შემდეგ დამდგარ ხანის მთავარი დამახასიათებელი თვისება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მოძრაობის ბედის გადაწყვეტის საქმეში „მწვავე მიზეზის“ მუჯლუგუნმა პირველი ადგილი დაუთმო ხალხის პოლიტიკურ ცნობიერების განვითარებას. პირველ „აზვირთების“ დამარცხებაც ხომ სწორეთ იმან გამოიწვია, რომ ხალხის ფართო მასსას არ შესწევდა საჭირო პოლიტიკური ცნობიერება, რის გამოც იგი მოქმედებდა უმთავრესათ ბუნდოვან გრძნობების აყოლით და არა ნათელი პოლიტიკური ანგარიშით.

ეჭვი არ არის, რომ თვით ეს დამარცხება საუკეთესო გაკვეთილი იყო ხალხისათვის მისი პოლიტიკური ცნობიერების გასავითარებლათ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი ფართო პოლიტიკურ გაკვეთილებისა. მას შემდეგ რუსეთის ხალხს უხვათ აძლევს ასეთ გაკვეთილებს მთელი პოლიტიკური ცხოვრება სახელმწიფოსი. და რადგან რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების მთავარ ღერძათ გადაიქცა სახელმწიფო დუმა, ცხადია, ყველაზე უფრო ნათელ და ფართო გაკვეთილებს პოლიტიკურ ცნობიერების გასავითარებლათ სწორეთ ეს დაწესებულება აძლევს ხალხს. მხოლოდ ის ბეცნი, რომლებიც მარტო იმას ხედავენ, რაც ყველას აშკარათ ეჩხირება თვალებში და ის კი არ შეუძლიათ გონების თვალით გასჭვრიტონ, რაც მალულათ, მაგრამ საფუძვლიანათ წარმოებს ხალხის თავში,—მხოლოდ ასეთი ბეცნი არ დაიჯერებენ იმას, რომ პირველმა ორმა დუმამ ბლომათ შეიტანა შუქი ხალხის პოლიტიკურ ცნობიერებაში. ჩვენ კი ღრმათ გვწამს, რომ ორივე წარსულმა დუმამ—მათმა არჩევნებმა, მათმა მოქმედებამ და მათმა აღსასრულმა შესამჩნევათ აუხილა თვალები პოლიტიკურათ ხალხის ფართო მასსას. ამიტომ ჩვენ ღრმათ გვწამს ისიც, რომ, როგორიც უნდა იყოს მესამე დუმა, იგი განაგრძობს პირველ ორ დუმის დაწყებულ საქმეს—ხალხის პოლიტიკურ ცნობიერების განვითარება-გაფართოვებას.

თუ მესამე დუმა მთავრობის მომხრე აღმოჩნდა, რაც თავის-თავათ, რასაკვირველია, სამწუხარო იქნება, და თუ იგი ხალხს აშკარათ მტრულათ დაუპირდაპირდა, მთელ ხალხს საშვალება მიეცემა უფრო დაახლოვებით, უფრო ნათლათ მთელი მათი სიგრძე-სიგანით გაიცნოს ყველა თვისი მტრები და მათი სულისკვეთება, უფრო ნათლათ შეიგნოს მათთან ბრძოლის საჭიროება და ის საშუალებანი, რომლებითაც ეს ბრძოლა უნდა აწარმოვოს. ხოლო თუ სახეში მივიღებთ იმასაც, რომ დუმაში ბლომათ მოექცევიან ხალხის მომხრენიც, რომლებიც იქ მთელი ხალხის დასანახათ იმოქმედებენ, მთელი ხალხის გასაგონათ ილაპარაკებენ,—მაშინ ჩვენთვის კიდევ უფრო ცხადი იქნება, რომ მესამე დუმის შემწეობით მთავრობა მოძრაობას ვერ მოსპობს. პირიქით, ვიმეორებთ, მესამე დუმა როგორიც უნდა იყოს იგი, მხოლოდ ხელს შეუწყობს ხალხის პოლიტიკურ ცნობიერების განვითარებას და მით ხელს შეუწყობს მოძრაობის განვითარებასაც.

## ახალი ამბები

**მუშების დათხოვნა.** როგორც გადმოგვცეს, ვარშავის ტეხნიკურ საზოგადოების განყოფილების გამგეობას თფილისში ექვსი საუკეთესო მუშა უსაბუთოთ დაუთხოვია ადგილიდან და მათ მაგიერ მიუღია ექვსი სხვა მუშა. პოლიტიკა „განყოფილების“ გამგეობისა ცხადია, მხოლოდ, რას ფიქრობს სტეფანე ავადკოვი, რომელიც თურმე შუამავლის როლს ასრულებს მუშებსა და ზემოხსენებულ გამგეობის შორის.

✦ **მეპალე ხაზეინების იერიში მუშებზე.** როგორც გადმოგვცეს, თფილისის მეპალე მოიჯარადრეებს მოუწყვიათ კავშირი და ორგანიზაციულათ ებრძვიან მუშებს; მათ უკვე ზოგიერთი მოპოვებული უფლება მუშებისათვის წაურთმევიათ. ამ გარემოებას ძლიერ გაუმწვავებია ურთიერთი განწყობილება მუშების და მეპალეებისა.

✦ **ხაზეინების ჯიუტობა.** დღეს მეხუთე დღეა, რაც თფილისის სარდაფის მუშები გაფიცულები არიან. თუმცა მათი მოთხოვნილებები ადვილი დასაკმაყოფილებელია, მარა მაინც ხაზეინები განაგრძობენ თავიანთ ჯიუტობას.

✦ **გაფიცვის მოხსნა** 17 ოქტომბრიდან თფილისის მეთორნეებმა მოხსნეს გაფიცვა; ისინი დათანხმდენ გაყიდონ გირვანქა პური $5^1/_2$ კაპ.

✦ **არჩევნების კასაციის შესახებ.** როგორც გადმოგვცეს, ბაქოს, ერევნის,

და განჯის გუბერნიების ამრჩეველთა (ვიბორშჩიკების) ერთ ჯგუფს განუზრახავს სახელმწიფო სათათბიროში განასაჩივროს უკვე მომხდარი არჩევნები ზემოხსენებულ გუბრნიებში, რადგან ამნაირი არჩევნები უკანონოთ უცვნიათ.

✦ **ახალ ჯარის-კაცების შესახებ.** დღევანდლამდის ახლათ გასაწვევ ჯარის-კაცებთაგან, უკვე 22 კენჭიც შეხვედრია და ექიმებსაც დაუმოწმებიათ, როგორც სამსახურისათვის ვარგისები. ქ. თფილისიდან გასაწვევია 241 კაცი.

✦ **ქალაქის თავის კანდიდატურის შესახებ.** დღეს, 19 ოქტომბერს ქალ. საბჭოს დარბაზში დანიშნულია კერძო სათათბირო კრება საბჭოს წევრებისა; იქონიებენ მსჯელობას ქ. თავის კანდიდატის შესახებ.

✦ **წინადადება ქალ. გამგეობას.** კავკასიის საექიმო საზოგადოებას წინადადება მიუცია ქ. გამგეობისათვის—გადასდოს მან 200 მან. საზოგადო ადგილის მოსაწყობათ, სადაც მოხდება ა(ც)რა ხოლერის თავიდან ასაცილებლათ.

✦ **უმაღლესი კურსები.** დღეს, 19 ოქტომბერს, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში საღამოს 6 საათიდან წაიკითხავენ ლექციებს: ჩებოტარევი—„ასტრონომიაზე", ბ. ილინსკი—„ლ. ნ. ტოლსტოიზე" და ბ. შტრეიხერი—„ფიზიოლოგია და გისტოლოგიაზე". უკანასკნელ ლექციას ექნება ბუნდოვანი სურათებიც.

✦ **დაჭრა.** როგორც სოფ. ველისციხიდან გვატყობინებენ, 13 ოქტომბერს დაუჭრიათ ადგილობრივი მცხოვრები ლევან მექვევრიშვილი (მამისაშვილი). მსროლელნი მიმალულან.

✦ **თფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი:** თფილისის მაზრის მცხოვრები გრიგოლ მესოიანცი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იარაღის შესახებ, დაპატიმრებულ იქნა ციხეში ჯდომით სამი თვით.—პროვიზორის თანაშემწეებს: ვალერიან ჯაშს თედო ქარცივაძეს და შეგირდს აფთიაქისა ვლ. კამენიკოვს აეკრძალათ თფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში ცხოვრება.—ბიჭია ერაძეს გადაუწყვიტეს ორი თვით ციხე სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

✦ 17 ოქტომბერს საღამოს 6 ს. სარქისა აპრიამოვი და ერგიანა არუთინოვი უცნობ პირებთან ერთათ შესულან ძმათა ბაღდასაროვების დუქანში, პირველათ პაპიროსი მოუთხოვნიათ, შემდეგ სანოვაგე გადმოუყრიათ, ამის გამო ატეხილ ჩხუბში ბაღდასაროვებს გირებით თავები გაუტეხიათ, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის; ამ დროს ატეხილ სროლით დაჭრილა აპრიამოვი რომელიც საავათმყოფოში წაუყვანიათ.

✦ 17 ოქტომბერს, ღამით, მეხუთე საპოლიციო ნაწილში, ებრაელთა სინაგოგაში შესულან ბოროტ-მოქმედნი, გაუტეხიათ სამი საფულე ყულაბა და წაუღიათ 60 მან. პოლიციას ამის გამო შეუპყრია ილია ახალკაციშვილი და ისხა ჩაჩანაშვილი.

✦ 17 ოქტომბერს ადმინისტრაციას შეუპყრია გეორგი ბერიაშვილი. მას აბრალებენ მონაწილეობის მიღებას მატინოვისა და მაღალოვის დუქანზე დაცემაში 14 ოქტომბერს. ბერიაშვილი უცვნიათ, როგორც დამცემი.

✦ როგორც შორაპნიდან იტყობინებიან, იქ ლიანდაგზე უპოვიათ კონდუქტორი ვასილ მიტროხინი, რომელსაც ორივე ფეხი მოწყვეტილი ქონია.

# რუსეთის პრესა

## ეროვნული საკითხი ოქტომბრისტების ბანაკში

გუჩკოვის გაზ. „გოლ. მოსკვი" სწერს:

„17 ოქტომბრის კავშირი დღიდან თვისი შედგენისა იყო ის „ნაციონალ-პროგრესიული პარტია", რომლის წარმოშობას ელის „ნოვ. ვრემ." მრავალჯერ და ძალიან ხშირათ, განსაკუთრებით, როცა წამოდგებოდა საკითხი ავტონომიის შესახებ, ოქტომბრისტები იმ აზრს იცავდენ, რომ რუსი ხალხის ინტერესები უნდა პირველ გეგმაზე იდგეს და რუსეთი უნდა იყოს განსაკუთრებულათ რუსული სახელმწიფო ამისდა მიხედვით, ოქტომბრისტები მომხრე არიან ვითარდებოდეს საოლქო თვითმართველობა მთელი სახელმწიფოსთვის საერთო პრინციპებზე, მაგრამ ოქტომბრისტები მხურვალე პროტესტს აცხადებენ განაპირა ქვეყნების ავტონომიის წინააღმდეგ, რომელიც უკეთეს შემთხვევაში რუსი ხალხის სხეულზე შექმნიდა მის წვენის გამომწუწნავ პარაზიტებს, და უარეს შემთხვევაში წაგვიყვანდა ფედერალიზმისაკენ, რუსეთის ერთიანობა-მთლიანობის დაღუპვისაკენ".

ამის შემდეგ, საკითხავია—რაღას უნდა წარმოადგენდეს მათი „საოლქო თვითმართველობა" და ან რითი იქნება განსხვავებული ამ ბატონების პოლიტიკა ძველი რეჟიმის პოლიტიკიდან უცხო ეროვნებათადმი? გაზეთი გვიპასუხებს:

„მაგრამ ყველა ამასთანავე, ოქტომბრისტები შორს არიან იმ რიგორიზმიდან (სისასტიკიდან), რაიც შეადგენდა დამახასიათებელ თვისებას წინანდელ რუსიფიკატორულ (გარუსების) პოლიტიკისა და რაიც უკრძალავდა ადგილობრივ ენები ეხმარნათ, როგორც დამხმარე (подсобный) ენები მაგ. დაბალ სკოლაში, აგრეთვე კერძო დაწესებულებებში და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში".

აი, ამ ფარგალში ოქტომბრისტები თანახმა არიან მიიღონ ადგილობრივი ენები, ვითარცა დამხმარე ენები. დიდი წყალობაა თქვენმა მზემ! მაგრამ ოქტომბრისტები ვერც ისეთ თავგანწირვამდე მივლენ, რომ „ინოროდცებს" დააჩაგვრინონ „რუსის ხალხოსნობა". გაზეთი სწერს:

„ოქტომბრისტები, რასაკვირველია, გულგრილათ ვერ შეხედავენ „ინოროდცებისაგან" რუსის ხალხოსნობის დაჩაგვრას, რა ფორმაშიაც უნდა იხატებოდეს ეს დაჩაგვრა, მათ არ შეუძლიანთ მოითმინონ ეს მჩაგვრელობა... ოქტომბრისტებს ერთი წუთითაც არ შეუძლიანთ დაივიწყონ, რომ რუსეთი უწინარეს ყოვლისა რუსებისათვის".

ეროობ მჭევრმეტყველურათ არის ნათქვამი. კომენტარიები მეტია.

## სიტყვა ვლასა მგელაძისა.

(თქმული დეპუტატ კ. ჩხეიძის არჩევის დროს).

სანამ მე გამარჯვებას მივულოცავდე ჩვენ პარტიას და მისი აზრების დამცველ აქ არჩეულ დეპუტატ ჩხეიძეს, მანამდი მინდა აღვნიშნო მოკლეთ მაინც ის, რაც აქ მოვისმინეთ. აი იქ, იმ სკამზე მყოფი, სულ-განაბული ვუსმენდი და მთელი ჩემი არსებით ვადევნებდი თვალ-ყურს დღევანდელ სჯა-კამათს და გაშტერებული დავრჩი!.. პატივცემულმა ანდრონიკაშვილმა პირველ სიტყვაშივე ბრძანა: მე შეიძლება ჩემი რწმენით ფედერალისტი ვიყო, მარა დღეს ფედერაცია მიუწდომელი ოცნებაა და ადგილობრივი თვითმართველობა უფრო განსახორციელებია, მე კადეტთა პარტიის მარცხენა ფრთას ვემხრობი და შრომის ჯგუფში ვიმუშავებო!.. კადეტებშიაც არის ზნეობის მქონე ადამიანებიო! ბ-ნმა გვაზავამ დასძინა: „ჩვენ დეცენტრალიზაციის მომხრე ვართ, ამ მომენტში პროგრამა უნდა დავივიწყოთ; მთავრობას მიზნათ არ ქონია პროლეტარიატთან ბრძოლა, არამედ „ინოროდცებს" (განაპირა ქვეყნებს) ებრძოდა ჩვენ პროლეტარიატს ქუდს ვუხდით და მადლობას მოვახსენებთ, იმან ბევრი იბრძოლა და გააკეთა, მარა დღეს კი პარლამენტში მცოდნე კაცებია საჭირო და ამ მხრივ ანდრონიკაშვილი დაანგრევს ბევრსო (Андрониковъ можетъ разрушить, многое) გაათავა სიტყვა ბატონმა ვექილმა!..

მე მაკვირვებს ერთი: რატომ არ შესწევთ მოქალაქობრივი ძალა ამ პატივცემულ, სწავლით აღჭურვილ ადამიანებს, რომ თქვენ პირდაპირ ვინ და რომელ პარტიას ეკუთვნიან ისინი?!. თუ პატივცემული ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მომხრეა პრინციპიალურათ თავისუფლების დროს ფედერალისტების, და ჩვენ გვეუბნება, მე ფედერალისტი კი არა, „ტრუდოვიკი" ვარო და კადეტებს იცავს და ამბობს იქაც არიან „ზნეობის მქონე ადამიანებიო", რატომ არ ამბობს პირდაპირ, რომ ყოველივე ეს მუშათა თვალის ახახვევათ არის ნახმარი...

ბ-ნი გვაზავა ბრძოლისთვის მადლობას გვწირავს, საუკეთესო ამხანაგების დაკარგვისათვის ქუდს გვიხდის, მარა ამ ბრძოლის ნაყოფს კი თვითონ ისაკუთრებს და ჩვენ გვეუბნება: ახლა, როცა თქვენი ბრძოლით და სისხლით „დუმა" ვიშოვეთ, იქ ჩვენ გავგზავნით ნიჭიერ ორატორს, თქვენ, ტლანქ, გაუნათლებელ მუშებს იქ რა გინდათო, ასეთია ამ პატივცემულ პირების ლოღიკა და სრული ჭეშმარიტებაც არის!.. აქ ორი აზრი შეუძლებელია. ყოველი კლასი იცავს თავის ინტერესებს და ამისთვის იღვრება სისხლი და ბრძოლაა გაჩაღებული, ეს ასეც უნდა იყოს და ყველაზე კარგათ ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ, მუშებმა... როდესაც დიდებული თავისუფლება მოიპოვეს პარიზის მუშებმა, შემდეგ მას ტყავი ააძრო ბურჟუაზიამ და სისხლის რუები ადინა... ასეა ყველგან. თქვენივე შრომით და ბრძოლით მოგებულ „დუმაში" თქვენ რა გინდათო გვეუბნებით თქვენ და მართალიც ხართ, ამას გვალებთ თქვენი ბურჟუაზიული მდგომარეობა, მე გეკითხებით თქვენ, პატივცემულო ანდრონიკაშვილო, და მისო ამხანაგებო, თქვით ვინა ხართ თქვენ და რა პარტიას ეკუთვნით?!.

განა ჩვენ, მუშებს, ის არ გვეყოფა, რომ მთავრობა ათასნაირ ხრიკს გვიდებს? განა ჩვენ ჩვენი უცოდინარობა და სიბნელე არ გვეყოფა, რომ კიდევ თქვენც არ გვიბნელებდეთ საქმეს?!. განა ჩვენ უკულტურო საზოგადოებას კიდევ სჭირია აღევ-დარევა?!. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ და ნათლათ ვხედავდეთ ყველა პარტიას, რომ იდეიური წინააღმდეგობა გავუწიოთ და კლასთა ბრძოლა ვაწარმოვოთ და თქვენ ამისთვის გაბედულება არ შეგწევთ, რომ სამოქმედო ასპარეზზე აშკარათ გამოხვიდეთ!.. იმ მეცნიერების ტაძარს, რომელშიაც თქვენ სწავლა მიიღეთ, ჩვენ ვდარაჯობთ, ვიცავთ მის უფლებებს და მონობის ჯაჭვსა ვხსნით, ჩვენი სისხლით და ძვლებით ვდგამთ შიგ საკაცობრიო ტრიბუნას, და თქვენ კი იმდენი მოქალაქობრივი გაბედულება ვერ გამოიჩინეთ, რომ თქვათ [illegible] პირდაპირ, ვის ეკუთვნით—ვერ გაგვიმართლეთ იმედი. მარა ჩვენ [illegible] მონობის უღელს და უფრო გავამშუქცისკროვანებთ მეცნიერების ტაძარს ჩვენი ბრძოლით... ჩვენ თუ სიცოცხლის განწირვა შეგვიძლია აქ, ქუჩაში, დუმაშიაც შევიძლებთ ბრძოლას. და ბოლოს ისიც იცოდეთ, რომ სიტყვას და კანონის შეთხზვას კი არ მოაქვს თავისუფლება, არამედ ქუჩაში ბრძოლას და თავის განწირვას... (სიტყვის შემდეგი ნაწილი ეხება სოციალდემოკრატიას. ორატორი აფასებს და კანდიდატის არჩევას და განმარტავს მის მნიშვნელობას იგი აღტაცებული ულოცავს ხალხს საარჩევნო გამარჯვებას და ენერგიულათ მოუწოდებს საბრძოლველათ).

# პროვინცია

**რაჭა.** 9 ოქტომბერს სთველ წესში აქაურმა სამღვდელოებამ გადაიხადა ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული მგოსნის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს. ილაპარაკა, სხვათა შორის, გ. დორთქიფანიძემ, რომელმაც მკვლელობის მიზეზები ასე გაცნო საზოგადოებას. „დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში შემოვიდა და ფეხი მოიკიდა ერთგვარმა მიმართულებამ, რომელმაც სული და გული მოუწამლა თავის მიმდევრებს, რომელიც ზიზღს და სიძულვილს ქადაგებდა მათ წინააღმდეგ, ვინც ამ მიმართულებას არ იზიარებდა. და აი, სწორეთ ამ მოძღვრება-მიმართულების ქადაგებამ წარმოშვა ილიას მკვლელებიო" და სხვ.

როგორც ხედავთ, ფედერალისტების შავრაზმულმა აგიტაციამ მიაღწია რაჭაშიაც ჰპოვა გამოხმობა.

სხვაველი მუშა.

**შაგალი-ელიარი.** 12 ოქტომბერს დამის 12 საათზე, შაგალი-ელიარის სპილენძის სადნობ ქარხნებში ვიღაც ბოროტ-მოქმედმა, მხეცურათ დაჭკლა მზარეული ქალი (კუხარკა) ირინა ვართალამევისა. როგორც ჩანს, მკვლელს გამოუტყვილებია ოთახიდან საწყალი ქალი და ამავე სახლის კიბის ქვეშ დაუკლავს.

ამ საქმის გამო ეჭვით შეუპყრიათ აქაური ხელოსანი თათარი ახმედ სეპხანოვი. გამოძიება სწარმოებს და ვნახოთ რა იქნება. როგორც ემჩნევა, ამ მკვლელობაში დიდი საიდუმლოება მარხია. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ,

## ტერორი ეკონომიურ ნიადაგზე *).

(თარგმანი ებრაულ გაზეთიდან)

ამ უკანასკნელ ხანებში ვხვდებით გაზეთებში ცნობებს: მკვლელობისა, ძარცვა-გლეჯისა და სხვა ბოროტ-მოქმედების შესახებ. კლავენ მეფაბრიკეებს, დირექტორებს, ინჟენერებს და სხ. კაპიტალის მოსამსახურე-ყარაულებს. ზოგიერთ ალაგებზე, როგორც მაგალითად ლოძში, ტერორი ეკონომიურ ნიადაგზე ამ ბოლო დროს ისე გახშირდა, ისე გაიდგა ფესვები და ისეთ მძლავრ უბედურებათ გადაიქცა ეკონომიური ბრძოლის წინააღმდეგ, რომ ლოძის პროლეტარიატი იძულებული შეიქნა განსაკუთრებული კონფერენცია მოეწვია ამ ბოროტების თავიდან ასაცილებელ საშუალებათა შესამუშავებლათ. იგივე საკითხი გაირჩა, როგორც „პროფესიონალური მოამბე" № 9 გადმოგვცემს, ამ ახლო ხანს მომხდარ კონფერენციაზე უპარტიო პროფესიონალურ კავშირში—ჩრდილოეთ დასავლეთ მხარეში.

ეს ფაქტები და ბევრი ასეთები, რომლების მაგალითებათ მოყვანა აქ შეიძლებოდა, გვიჩვენებს, რომ ჩვენ შემთხვევითი მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, და საკითხი ეკონომიურ ტერორზე კვლავ იბადება. ვამბობთ „კვლავ", რადგანაც ეს საკითხი საბოლოოთ გადაწყვეტილი გვეგონა რუსეთის მუშა ხალხის მოძრაობისათვის.

ეკონომიურ ტერორს ვხვდებით ყველგან პირველ მუშათა დასაწყისში. პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობისა თითქმის ყველგან ხდება ცეცხლით, ძალმომრეობით და განადგურებით, რაიც მიმართულია ხოლმე კაპიტალის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. შეუგნებელი მუშა, რომელიც ეს-ეს არის იღვიძებს და იწყებს ბრძოლას უკეთესი ცხოვრებისათვის, უმალ ხედავს თვის წინ მხოლოდ მას, რაც მას შეუბრალებლათ მუხრუჭს უჭერს და ისიც მასზე ანთხევს თავის გულის წყრომას.

ბევრი მსხვერპლი დასჭირდა პროლეტარიატს, ვიდრე იგი დაინახავდა და ისწავლიდა მნიშვნელობას თითოეულ ცალკე შეტაკებისა კაპიტალის წინააღმდეგ, და ვიდრე მიეჩვეოდა გაგებას, რომ მათი ყოველდღიური ბრძოლა რომელიმე მწარმოებელის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო შეკავშირებული, ორგანიზაციულათ მოწყობილი და პროლეტარიატის საერთო ბრძოლასთან შეთანხმებული. მხოლოდ ასეთ პირობებში ექნება პროლეტარიატის ბრძოლას ის ძალა და მნიშვნელობა, რომელიც მოგვიახლოვებს ბედნიერს და სასურველ მომავალს. როგორც კი გაიგო ეს პროლეტარიატმა, იმ დღიდანვე უკუ აგდო ბრძოლის ყველა ისეთი საშუალებანი, რომელიც ითვლებოდა წამიერ საშუალებათ, და რომელსაც შეეძლო მოეტანა დამარცხება ამა თუ იმ მუშათა წრისათვის კაპიტალისტის წინააღმდეგ. მებრძოლმა პროლეტარიატმა გაიგო, რომ მხოლოდ თავიანთი დარაზმული და შეერთებული ძალით შეუძლია მოიპოვოს ნამდვილი გამარჯვება, მას შეუძლია შეერთებულ ღონიერ კაპიტალისტებს ბევრი რამ გამოგლიჯოს ხელიდან და დათმობის გზისაკენ წაიყვანოს. შეგნებული პროლეტარიატი მთელ ენერგიას ახმარებს თავის ორგანიზაციის გაზრდაგაღონიერებას და თავიდან იშორებს ყველა იმას, რაც ხელს უშლის მას ამ მიზნის განხორციელებაში. ეკონომიური ტერორი მხოლოდ აცალკევებს და აქუცმაცებს მუშათა მასსას; ამიტომაც შეგნებული პროლეტარიატი სრულიად წინააღმდეგია ბრძოლის ამგვარ საშუალებათა, იგი მთელის თვისი ძალღონით ილაშქრებს მის წინააღმდეგ. პრაქტიკულათ შეერთებულ-შეკავშირებულ მუშათა მოძრაობაში ჩვენ სრულიად ვერც შევხვდებით ტერორს ეკონომიურ ნიადაგზე.

მუშათა მოძრაობამ რუსეთში უკვე განვლო პირველი საფეხური თავისი განვითარებისა. როგორც სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობაში, ისე ჩვენშიაც ტერორს ეკონომიურ ნიადაგზე თვალსაჩინო ალაგი ჰქონდა. სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელთ უმეტეს შემთხვევაში ეკონომიურ ბრძოლასთან ერთათ წილათ ხვდათ სასტიკი ბრძოლა ტერორისტულ ნიადაგზე ამოძრავებულ მასსასთან. სოც.-დემ. მოღვაწეობამ დიდი ნაყოფი მოიტანა ამ შემთხვევაში; ტერორმა ეკონომიურ ნიადაგზე დაკარგა თავისი მნიშვნელობა მუშა ხალხის თვალში და თითქმის სრულიად გაქრა ის ჭეშმარიტ მებრძოლთა წრეებში. მუშათა მასსა, რომელიც გართულია თავის ორგანიზაციის გამაგრებაში, იშვიათათ უჯერებდა და ემხრობოდა ბაქია ავანტიურისტების სხვა და სხვა როშვას, რომლებიც მოუწოდებდენ მათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ ბომბებით და ბრაუნინგებით.

ანარქისტების სწავლა ქადაგებამ დიდხანს ვერ მოიპოვა სიმპატია მუშათა შორის, შეგნებული მუშები თავგამოდებით იბრძოდენ ანარქისტულ იდეის წინააღმდეგ, რის გამოც ისინი (ანარქისტები) იძულებული გახდენ თავიანთი მიმდევარნი ისევ მუშათა შეუგნებელ ელემენტებში მოენახათ.

მაგრამ რის გაკეთებაც ანარქისტებმა ვერ შესძლეს თავიანთი სხვა და სხვა აგიტაციის გაწევით, ის კვლავ გამოატყვრინა თვით ცხოვრებამ. ძალმომრეობა შეიქნა კერძო მოვლანათ მუშათა მოძრაობაში და ცხოვრების სცენაზე კვლავ ტერორი გამოცურდა ეკონომიურ ნიადაგზე.

რა მიზეზებმა გამოიწვია ის?

ამის პასუხი ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩვენი დროის მუშათა ცხოვრების პირობებში.

რევოლიუციამ სრულიად აამღვრია ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა, არც ერთი კლასი არ დარჩენილა ხელშეუხებელი, ყველა მოძრაობაში მოვიდა და საღლაც მიისწრაფების. მაგრამ ყველაზე უფრო შეიპყრო ამ მოძრაობამ მუშათა კლასი. განმათავისუფლებელი ბრძოლა პროლეტარიატისა გაიზარდა მასსის სახ. და სხ. ელემენტებით, რომლებიც საზოგადო მოძრაობით ბრძოლას მოწყურებულნი იყვნენ. თავიანთ დამჩაგვრელების წინააღმდეგ ერთი მეორეზე გამარჯვებამ მუშათა კლასი სულ შორს და შორს წაიყვანა და მოქმედებამ ორგანიზაციულ ძალას გადააჭარბა; ამავე დროს მოპირდაპირე მტრები სრულიად არ ყოფილან მომზადებულნი; მუდმივი მცველი უკანასკნელისა—ძველი წესწყობილება დაქუცმაცებული, გონება დაბნეული იყო, და არ შეეძლო მაშინ უცებ ძალა გამოეჩინა. პირველი გამარჯვებით წახალისებულ პროლეტარიატს კი ეგონა, რომ მას მაშინვე შეეძლო ყველაფრის მოპოვება; დაიწყეს 8 ს. სამუშაო დღის ცხოვრებაში გატარება, რომელიც ძალათ გამოგლიჯეს ხელიდან ბურჟუაზიას.

თუ მოხსენებულ გარემოებათ შეეძლო შემცდარი წარმოდგენა მიეცა თვით ზოგიერთ მოწინავე მუშებისათვის, რა თქმა უნდა, იგი უფრო ცუდ გავლენას იქონიებდა ფართე შეუგნებელ მასსაზე. შეუგნებელმა ფართე მასსამ, რომელსაც არ მიუღია არავითარი პოლიტიკური განვითარება, არ ყოფილა არასოდეს არავითარი ორგანიზაციაში და არ შეხვედრია ცხოვრების გზაზე არავითარი პოლიტიკური დაბრკოლება, ამ მასსამ უცებ იფიქრა და გადაწყვიტა, რომ მის ძალას ვერაფერი ვერ დაუდგება წინ და ყველამ გზა უნდა დაუცალოს.

პროლეტარიატის მაშინდელმა ორგანიზაციებმა ვერ მოასწრეს ისე უცებ აღგზნებულ მოძრაობის დროზე ორგანიზაციულათ მოწყობა და ერთ რევოლიუციონურ არმიათ შეერთება; ამიტომ არავინ იყო აელდინა მუშები ყალბ და შემცდარ გზიდან.

ვერც პროფესიონალურმა კავშირებმა, რომლებიც მეტის-მეტი სისწრაფით ვრცელდებოდა მაშინ, ვერ შესძლო გაღონიერებია, გაემაგრებია მოძრაობა. რეაქციის გაბატონებამ კიდევ უფრო გააძნელა სოციალისტურ და მუშათა ორგანიზაციების შეგნება-განვითარებისთვის მოღვაწეობა. სტიქიურ მისწრაფებას შეუგნებელ მასისას არ შეხვდა სერიოზული მოწინააღმდეგე და დაიწყო არა სასურველი ნაყოფის გამოღება; შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლის გეგმა უფრო ხშირათ „უბრალო" საშუალებებზე შეიცვალა—სხვა და სხვა სახის ტერორმა იწყო მოქმედება.

ქვეყნის პოლიტიკურმა მდგომარეობამ დიდი გავლენა იქონია ტერორისტულ მოქმედებაზე მუშათა შორის. რეაქცია საკმაოთ შეეხო მუშათა ორგანიზაციებს და გაანახევრა იმისი გავლენა მუშათა მოძრაობაზე. საშინელი რეპრესიები, (ძალმომრეობა), დამსჯელი რაზმები და მასთან სამხედრო სასამართლოები, ერთი

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მარა პრინციპიალურ მნიშვნელობისათვის. თქმა არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობაში ეკონომიურ ტერორს არასოდეს არ ქონია ის ადგილი, რომელიც მას ქონდა და კიდევ აქვს რუსეთში, განსაკუთრებით კი იმ რაიონებში, სადაც ცხოვრობს ებრაელი პროლეტარიატი. რედ.

რომ აქაური მოსამსახურეების ცხოვრება ერთი დღითაც უზრუნველყოფილი არ არის.

ესიკაიშვილი

—

**აბაშის საზოგადოება** (ქუთ. მაზრა). აბაშის საზოგადოება დღეს დიდ განსაცდელს განიცდის, ადგილობრივი სტრაჟნიკები დაბასოფლათ დადიან და მცხოვრებთაგან მუქარით და შტიალით დრამის ფულს კრეფენ—ორ-ორ მანეთს თითოეულ გლეხზე. მცხოვრებთ ეგონათ, ადგილობრივი სულიერი მამები შეიბრალებდენ მათ და დრამის ფულის გადახდას აცილებდენ, რადგან ხალხი მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ და მღვდლები, რეაქციისგან გათამამებულნი (ზოგიერთები რასაკვირველია), დიდ სიხარულში არიან, რომ დრამის ფულს იღებენ. ჩვენ მოძღვრებს მრევლის შებრალება აქამდე როდის ქონდათ, რომ ეხლა მოვთხოვოთ!.. „შეკბენილი“

—

**სად. სუფსა** (გურია). 7 ოქტომბერს ლანჩხუთის ბოქაულის მიერ სად. სუფსაში იყო დაპარებული ჩოჩხათის საზოგადოება. რადგანაც დღეს, როგორც ყველგან, ისე გურიაში გახურებული მუშაობაა, ურილობა სრულათ ვერ შესდგა. თავი მოიყარა სულ ორასმა კაცმა. ისინი დილიდანვე მოვიდენ, მაგრამ დამის ექვს საათამდი მშიერ-მწყურვალი ეყარენ ქვიშნარ მოედანზე და უცდიდენ ბოქაულს. ექვს საათზე ილაჯ-გაწყვეტილ ხალხის წინაშე გამოიჭიმა ბოქაული და განაცხადა, რომ დღეს ურილობა იყო მოწოდებული ძლიერ საჭირო საქმისთვის და რადგან არ მოსრულდა, სასტიკი ზომები მოგელითო“. ამგვარმა განცხადებამ ხალხზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. „საწყალო მუშებო! განაგრძო ბოქაულმა, გეტყობათ რომ მოგბეზრებიათ ამდენი თრევა! გეტყობათ, რომ მოსვენება გსურთ, მაგრამ რა გიყოთ, თქვენს მოკეთე პოლიციას საშუალება არა გვაქვს დახმარება გაგიწიოთ! დამიჯერეთ საწყლებო, რომ თქვენი მოსვენება უოვლათ შეუძლებელია მანამდის, სანამ კისერს არ მოუგრეხთ და ცხვირში ძმარს არ ადენთ იმ „მაწანწალა ყაჩაღებს“, რომლებიც ქადაგობენ ამგვარ დროსაო“...

ნინოშვილისტი.

—

**ქოლუბანი** (სენაკის მაზრა). ქურდ-ბაცაცების თარეშს არა აქვს საზღვარი. ეს ვაჟბატონები სტარცავენ, ვინც კი მოუვებათ ხელში, განსაკუთრებით ურიებს. 7 ამ თვეს გაძარცვეს რამდენიმე ურია. მტარცველები შეიპყრეს. ეს პირები გახლავთ: ე. რუსია, პაპავა და ნიკურაძე. რუსია დიდიხანია ცნობილია, როგორც ქურდ-ყაჩაღების „ორგანიზატორი“. მართალია, პოლიცია ხშირათ იჭერს, მაგრამ ხშირადვე ანთავისუფლებს. სოფელმა ვერ მოიშორა ისინი ვერას გზით. ალბათ, ეხლაც გაანთავისუფლებენ.

— ს. გუგუნაუათშიაც შეიპყრეს ყაჩაღები, როგორც გაზეთშიაც ქქერა, სოფელმა სთხოვა ბოქაულს მათი მოშორება სოფლიდან. ბოქაულმაც აღუთქვა, ხალხს დახმარება მათ გაძევებაში. დღეს ეს ვაჟბატონები უკვე გამოუშვიათ ყველა და ახლა უყურეთ მათ ენერგიულ მუშაობას. ასეთ დახმარებას უწევს აქაური ბოქაული ხალხს ყაჩაღების და ქურდბაცაცების დაჭერა-გაძევებაში.

სტუმარი.

# მუშათა შორის

—

**ტყიბული.** დიდი ხანია ტყიბულში ნახშირის მადანი ამოუჩენიათ. და, წარმოება გაჩაღებულია. აქ თითქმის 500—600, კაცი მუშაობს და, შეიძლება, პატარა სამრეწველო ადგილათ ჩაითვალოს. მაგრამ, სამწუხაროთ, აქაური მუშები, მოკლებული არიან თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებას. აქაური მუშების უმთავრეს, მოთხოვნილებას შეადგენს, მხოლოდ, მუშაობა—დღით და ღამით განუწყვეტელი. ამას იქით ის არ იხედება, ვერ გამოსულა იმ ბურუსით მოცულ მდგომარეობიდან, და ვერ შეუგნია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ მარტო მუშაობით ვერ გაიუმჯობესებს მის დაბეჩავებულ მდგომარეობას. ადამიანურ პირობების მოპოება ფიქრათაც არ მოსდით. ყველა ამას თავის მიზეზი აქვს, და ერთი ამგვარი მიზეზათ ისიც ჩაითვლება, რომ დიდი უმრავლესობა მუშებისა, მახლობელ სოფლებიდან არიან. გარეშე კუთხიდან მომუშავე კი, ძალიან მცირე რიცხვს შეადგენს. დაკრავს თუ არა 6 საათის გუდოკი, მუშები გარბიან თავიანთ სოფლებში და ერთ წამს დაიცლება მაღაროები. ამგვარ მდგომარეობას თავის დაღი დაუსვამს მუშებისათვის. შური, მტრობა, ბეზღობა, ნარდათ მუშაობა და, სხვა, აქ გამეფებულია. თუმცა ოდესღაც აქაც შემოეშუქებინა განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ დღეს ამისი ნიშანიც კი გამქრალია; მაღაროს ადმინისტრაციისა და მუშების ურთიერთ შორის მამაშვილური დამოკიდებულება უკანასკნელთა მორჩილების მაჩვენებელია, თუმცა ამის მიუხედავათ ათასგვარი ჯარიმებია გამეფებული. ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი გარემოება. ვიღაც შოიჯარადრეს აულია სასადილოს და ყველა საჭირო ნივთების მონოპოლია, ამით სარგებლობს ეს ვაჭბატონი და სრულიად უვარგისს სანოვაგეს ასაღებს, ამასთან, ორ წილ ფასებში. მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა, როგორც იქნა, მოიშორეს თავიდან, მაგრამ ახლა კანტორამ ჩაიგდო ხელში ისევ ძველი წესით. ამ ერთი კვირის წინ გაიფიცენ მთელი მაღაროს მუშები. სამი თვეა, ფული არ დაურიგებიათ. მუშების მოთხოვნილება ჯამაგირების მიღება იყო. გაფიცვა ექვს დღეს გაგრძელდა. ბოლოს ადგილობრივმა ბოქაულმა, სასტიკ მუქარითა და ამგვარებით შეუკავშირებელი „მუშები ადვილათ დაიმორჩილა, რის გამო გაფიცვა მუშების დამარცხებით გათავდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გაფიცვას მთლათ უნაყოფოთ არ ჩაუვლია, მუშებსა და კაპიტალისტ შორის უფსკრული გაითხარა, და ორი სხვა და სხვა ინტერესი ერთმანეთს დაუპირდაპირდა. მუშები დარწმუნდენ, რომ საჭირო ყოფილა მათთვის, შეერთებული ძალა, მჭიდრო კავშირი და ორგანიზაციულათ მოწყობა. დროა ტყიბულის მაღაროს მუშებმაც გამოიღვიძონ, თორემ ეხლანდელი მათი მდგომარეობა უნუგეშოა.

აჯი-ბაბა.

—

**ქოლუბანი.** (სენაკის მაზრა) მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა განწყობილება იყო ფოთის მარგანეცას მუშებსა და უმუშევრებს შორის. უმუშევრები მოითხოვდენ თვით მუშებისაგან სამუშევარს, რასაც ხელს უწყობდენ ზოგიერთი ვაჟბატონები, რომლებიც სოფლებში კრებდენ მსურველთ და მარგანეცზე სამუშევარს პირდებოდენ, ასე მოხდა ჩვენ სოფელშიაც. აქაც, გულ-კეთილმა ადამიანებმა შეკრიბეს 60-მდე კაცი და შეპირდენ, მარგანეცზე სამუშაოს გიშოვითო. თუ დღეს ვერ შოულობთ სამუშაოს, ეს ს. დ. ბრალიაო და სხ. ბევრმა დაიჯერა მათი რჩევა და საქმე იქამდე მივიდა, რომ აქაური მარგანეცზე მომუშავე მუშები და სოფლელები დაერიენ ერთმანეთს, და, რომ უფრო შეგნებულთ არ ეღონათ, სისხლი დაიღვრებოდა. ამ სოფლიდან 16-მდე კაცი მუშაობს ფოთში მარგანეცზე. დღეს საქმე ისე გამწვავდა, რომ მთელმა სოფელმა, იმათ ოჯახს, ვინც ამ სოფლიდან ფოთში მარგანეცზე მუშაობს, ბოიკოტი გამოუცხადა. ბოიკოტი უკვე სამი კვირაა გამოცხადებული აქვთ. ფოთელი მუშები სთხოვენ შერიგებას და ბოიკოტის მოხსნას, სოფლელები კი მოითხოვენ მათგან: დაარსდეს რამოდენიმე მორიგეობა მარგანეცის სამუშავარზე. ასე რომ, ამ სოფლიდან, თვეში ერთი კვირა თქვენ იმუშავეთ, ძველმა მუშებმა, მეორე კვირას იმუშავებს—მეორე წყება, მესამეს—მესამე და ასე მოვაწყოთ სამუშევარიო. თუ ამაზე არ დასთანახმდებიან ძველი მუშები, ბოიკოტის მოხსნას არ აპირებენ.

—

**ფოთი.** მკითხველებს ეხსომებათ, თუ როგორი უთანხმოება სუფევდა მეგრელ-ხონელებსა და გურულ მუშათა შორის გასულ წლებში. მაგრამ სოც.-დემ. პარტიამ ამ სენს დროზე მოსცხო შესაფერი მალამო, და ჩააცხრო ისეთი პროვოკაცია, რომლისაგანაც მოსალოდნელი იყო ძმას ძმის სისხლი დაეღვარა. რასაკვირველია, ამ პროვოკაციის თავისი მეთაურნი ყავდა, რომელნიც აგიტაციას ეწეოდენ და იმხრობდენ მუშების შეუგნებელ ნაწილს და ამხედრებდენ დანარჩენი მუშების წინააღმდეგ. მაგრამ დრონი იცვალენ; რეაქცია გამაგრდა თუ არა, კვლავ გაჩნდენ მუშებში პროვოკატორები და დაიწყეს თავისი სამარცხვინო მოქმედება მაგალითისათვის მოვიყვან „რუსის“ საზოგადოების არტელში მომხდარ ინცინდენტს:*) როდესაც მუშებმა განიზრახეს ახალი მუშების მიღება, რომელნიც ბიუროდან იყვენ წამოყენებულნი, გამოვიდა მუშებიდან ორი ვაჟბატონი და გააჩაღეს აგიტაცია, წარადგინეს მოთხოვნილებანი: 1) არამც და არამც არ მივიღოთ გურულები, და თუ მივიღებთ, მხოლოდ ხონელები უნდა მივიღოთ. 2) თუ არ დაგვეთანხმებით, იმ შემთხვევაში ჩვენ „როსიის“ არტელში გადავალთ და იქაურ გურულ მუშებს აქეთ გამოვუშვებთო.**) მუშები არ დაეთანხმენ და უკმაყოფილნი გაიფიცენ მთელი მუშების წინააღმდეგ. მუშებმა განუცხადეს, რომ ჩვენთვის სულ ერთია მეგრელი, ხონელი და გურული მუშა. ჩვენ მხოლოდ ვღებულობთ ისეთებს, რომელნიც უფრო გაჭირვებული არიან. მიუხედავათ ამისა, გაფიცვა მაინც განაგრძეს, მაგრამ ბოლოს დაადგენ საქმეს. აი, ასეთი პროვოკაციის აღდენა შეუძლია მუშათა შეგნებას. ის მუშები, რომელნიც აყვენ პროვოკატორებს, იმედია აწი დაუკვირდებიან ცხოვრებას და გაიგებენ, რომ მუშა, ვინც უნდა იყოს იგი, მეგრელი, ხონელი, თათარი, ურია თუ რუსი, ყველანი ერთათ კვნესიან კაპიტალიზმის უღელ ქვეშ, რომელიც მეტ სიგრძნობლათ, თვით მუშას ტანჯავს და აწამებს. იმედია ჩაუკვირდებიან ამას და ერთსულოვნობით განმტკიცებულნი ადვილათ დალეწენ ყოველივე დაბრკოლებას. იმედია არ დაუგდებენ ყურს ხემოხსენებულ პროვოკატორებს, რომელნიც მუშათა შორის უთანხმოებას სთესენ, არამედ თითონვე შეებრძოლებიან ასეთ ელემენტებს.

თ. გიგოშვილი.

*) ზემოხსენებულ არტელში 360 მუშა ითვლება, რომელთა უმეტესობას გურულები შეადგენენ.

**) „როსსის“ არტელში უმეტესობას შეადგენენ მეგრელ-ხონელნი.

—

**ბალახანა.** დროებით შეჩერებული მოგზაურობა ქართველობისა ბაქოსკენ კვლავ განახლდა. დღითი-დღე ემატება ბაქოს ახალ-ახალი სტუმრები. მოდიან უმეტეს ნაწილათ თფილისის გუბერნიიდან და ემატებიან ისედაც მრავალ რიცხოვან უმუშევართა ჯარს. ხშირათ შეხვდებით დუქან-დუქან მოსიარულე ქართველს, რომელიც იხვეწება ეგებ ვინმე მადლიანმა ღამე გამათევიოს. დამშეულ-განადგურებული ხალხი აწყდება ბაქოს, რადგან ფიქრობს სამუშაოს ვიშოვნი და რაც ოჯახს ნაკლი აქვს, იმას შევივსებთო, მაგრამ „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“, სწორეთ იმათზე სრულდება. კაცის ენას არ შეუძლია აწეროს ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც საზოგადოთ ვარდება ქართველობა. მას სდევნის მთავრობა, სდევნიან ყოველგვარი „კაპიტალისტები“ და ამავე დროს სდევნიან „ჩვენი პატრიოტები“, რომელთაც ყოველ წამში აკერიათ პირზე „მამული“, „ქართველი“ და სხვა. ნამდვილათ იმათი მამულის სიყვარული ჯიბის სისქეში გამოიხატება. ამიტომ ვაფრთხილებთ ამხანაგებს, ნუ აჩქარდებიან ბაქოში ჩამოსვლაზე, თუ წინდაწინ იმედი არა აქვთ ადგილისა.

სოლომონ ინაკავაძე.

—

**სიღნაღის მუშა დაბლების გაფიცვა.** სიღნაღის დაბლების პროფესიონალურმა კავშირმა ამ დღეებში შემდეგი მოთხოვნები წარუდგინა ხაზეინებს. 1) $9^1/_2$ საათი სამუშაო დღე, კვირა-უქმე დღეებში სრული თავისუფლება; 2) ჯამაგირების მომატება მანეთზე 20 პროც.; 3) ზრდილობიანი მოპყრობა ორივე მხრით; 4) ქარხნის შენობის გაუმჯობესება; 5) ავათმყოფობის დროს 3 თვით ადგილის შენახვა, წამალი და ექიმი ხაზეინის ხარჯზე; 6) გაფიცვის დროს სრული ჯამაგირი; 7) მუშების დათხოვნა და მიღება თვითონ მუშების ნებართვით უნდა მოხდეს. მუშათა მედგარი ბრძოლის მეოხებით ყველა ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა. მუშა.

## პარტიების ცხოვრებიდან

—

**შრომის ჯგუფი.** ათ ოქტომბრის სხდომაზე შრომის ჯგუფის კომიტეტმა განიხილა საკითხი სოც.-დემოკრატებთან შეთანხმების შესახებ. შეთანხმება სასურველათ სცნეს. როგორც სახალხო სოციალისტებმა, ისე შრომის ჯგუფმაც გადასწყვიტა ხელმეორეთ კენჭის ყრის დროს არ გამოყვიდონ პარტიულ ინტერესებს და ის კანდიდატები წამოაყენონ, რომლებიც მეტ ხმებს შეკრებენ. სოც.-დემოკრატებთან საბოლოოთ მოლაპარაკება შემდეგისათვის გადადეს.

**სოც.-დემოკრატიულ პარტიის** პეტერბურგის კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე გაირჩა საკითხი შრომის ბლოკთან შეთანხმების შესახებ. კრებამ დაადგინა: 1) დაუყოვნებლივ შეუდგენ შრომის ბლოკთან მოლაპარაკებას შეთანხმების შესახებ, მხოლოდ პირველ არჩევნების შედეგების შეტყობამდე სოც.-დემოკრატ კანდიდატების სია არ გამოქვეყნდეს, 2) დაუყოვნებლივ გამართოს მოლაპარაკება შრომის ბლოკთან შეთანხმების მოლოდინში ტეხნიკურ ზომების შესამუშავებლათ, როგორც მაგ. ბიულეტენების ბეჭდვა და გაგზავნა და სხვა.

**ფ. დანი მესამე დუმასთან დამოკიდებულების შესახებ.** მესამე დუმის შესახებ ფ. დანი შემდეგს სწერს: „ცხადია, მესამე დუმის გახსნისათვე ბევრი ისეთი პირი გამოჩნდება, რომ ცხარე აგიტაციას გასწევს და ლოზუნგს წამოაყენებს „ძირს დუმა“! ასეთი ლოზუნგი წამოაყენეს პირველი დუმის დროს! ეს დიდი ტაქტიკური და პოლიტიკური შეცდომა იქნება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორიას ხალხის მასსისთვის ჯერ არ მიუცია სხვა ისეთი დაწესებულება დუმის გარდა, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზათ გამომდგარიყო.

ცხადია, ლოზუნგი „ძირს დუმა“ დღეს, როდესაც ისედაც პოლიტიკური ძალი ეტყობა მასსას, იგივე იქნებოდა, რაც „ძირს ხალხის წარმომადგენლობა“.

ეს ლოზუნგი მეტათ ხელს შეუწყობდა ბიუროკრატიას, რომელსაც დუმაზე უფრო მემარცხენეთ გამოყავს თავი, ხელს შეუწყობდა იმ დემაგოგიას, რომ ბიუროკრატიას ხალხისთვის, უმეტესათ გლეხებისთვის, სურს ყველა იმ საჭიროებების დაკმაყოფილება, რომლებიც ვერ დააკმაყოფილა დუმამ. პარტიებმა, რომ თავის დროშებზე დაწერონ „ძირს დუმა“, ისინი გაებმიან ხაფანგებში, რომლებიც მათ ბიუროკრატიამ დაუგო და ხელს შეუწყობდენ ბიუროკრატიის მოღვაწეობას. ასეთი მოკლე შეხედულებას ისტორია არავის არ აპატიებს. როცა პარტიები კრიტიკას უკეთებენ დუმას, იწუნებენ მის მოქმედებას, ამ დროს მის წინააღმდეგ კი არ უნდა წამოაყენონ ლოზუნგი „ძირს დუმა“, არამედ, ჯადებითი ლოზუნგი პარტიებმა კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გაატარონ დუმის ხალხის საწინააღმდეგო მოქმედება. საარჩევნო უფლება და ხალხის სრული უფლება—აი, რას უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება. ამიტომ ჯერ, სანამ პოლიტიკური ბრძოლა არ გაჩაღებულა, როცა ხალხი პასსიურათ ეკიდება საქმეს, „ძირს დუმა“ ამ ლოზუნგის წამოსროლა მეტათ საზარალოა.

## დადგენილება ექ. ვართანოვის შესახებ.

—

20 სექტემბერს მეხუთე რ. კ. თავის კრებაზე მოისმინა რა კომისიის მოხსენება შესახებ იმ პროტესტისა, რომელიც გამოუცხადეს სააბნოს მუშებმა ექიმ ვართანოვს,—იქონია რა ხანგრძლივი მსჯელობა საზოგადოთ ექიმ ვართანოვის მუშებთან დამოკიდებულებაზე, მიიღო შემდეგი დადგენილება:

ვიღებთ რა მხედველობაში: 1) რომ ექ. ვართანოვი მუდამ იცავდა სააბნოს მუშების ინტერესებს და ყოველ ღონეს ხმარობდა, რამდენათაც ეს მაზე იყო დამოკიდებული, გაეუმჯობესებინა მუშების ეკონომიური მდგომარეობა, რაც გამოიხატა ხელფასის მომატებაში და სამუშაო დროს შემცირებაში და სხვა. 2) რომ პროტესტი, რომელზედაც მუშებს ხელი უწერიათ სრულიად უსაფუძვლო და უადგილოა. 3) რომ მუშების უმრავლესობა შეცდომაში შეიყვანა ზოგიერთმა პირებმა, რომლებსაც ეს პროტესტი უფრო თავის პარტიულ მიზნების მისაღწევათ უნდოდათ, ვინემ საზოგადო საქმისათვის. 4) რომ ამ არა სასურველ პროტესტის შედგენაში და სხ. ყველაზე მეტი დანაშაული მიუძღვით იმ ზოგიერთ მოწინავე ამხანაგებს, რომლებსაც თავისი უტაქტიკობით და წინდაუხედაობით მოხერხებული საშუალება მისცეს მოსამსახურეთა რეაქციონურ ელემენტებს ექ. ვართანოვის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

გამოდის რა ყველა ამ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებიდან, მეხუთე რაიონი საყვედურს უცხადებს იმ ზოგიერთ მოწინავე ამხანაგებს კერძოთ და საზოგადოთ სწუხს, რომ ეს სამწუხარო ინცინდენტი მოხდა იქ, სადაც მას ალაგი არ უნდა ქონდეს.

## თფილისის მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია

(დასასრული, იხ. „ჩვენი გზა“ № 35)

კონფერენცია არკვევს ოჯახებში მომუშავე მოსამსახურეთა საკითხს და იმ აზრისაა, რომ თანახმათ წესდების ოჯახებში მომუშავე მოსამსახურეები შემოუერთდენ კავშირს, რისთვისაც საჭიროა საბჭომ მიიღოს ენერგიული ზომები.

სეზონში მომუშავე მოსამსახურეების შესახებ კონფერენციამ დაადგინა: სეზონის გათავების შემდეგ მოსამსახურეები აუცილებლათ ეწერებიან უმუშევრებში და მდგომარეობის მიხედვით ეძლევათ მათ ადგილი. მომავალ სეზონამდი, თუ მოისურვებს, სეზონში მომუშავე მოსამსახურეს შეუძლია წავიდეს

მხრით, პარტიზანული გამოსვლა, ექსპროპრიაცია და სხ. მეორე მხრით, ქმნიდა ნიადაგს ტერორისტული და ანარქისტული მოქმედებისათვის. დაუდალავმა, სისტემატიურმა შეგნებულ ბრძოლამ ბევრის თვალში დაკარგა თავის ბრწყინვალე მნიშვნელობა „რაინდულ“ გამოლაშქრებასთან შედარებით. და მართლაც, რა საჭიროა ალებთან ამდენი ცერემონია და მოლაპარაკების გამართვა, როცა შეიძლება მას დაუყვირო: „ხელები მაღლა!“; რაც შეეხება სხვა და სხვა მუქარის წერილებს გაფიცვის დროს, ეს არც კი ითვლება მათთვის ტერორათ.

რაკი ეკონომიურ ტერორზე და მის გამომწვევ მიზეზებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ამიტომ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ კიდევ შემდეგი. როგორც ჩვენ ვსთქვით რეაქცია მოურიდებლათ შეეხო მუშათა ორგანიზაციებს. ჩაერია რა მთავრობა პროფესიონალურ კავშირების ზრდა განვითარებაში, საშინლათ გაუძნელა მასიურ ორგანიზაციებს ბრძოლა, რამაც, რა თქმა უნდა, ცუდათ იმოქმედა მასიურ ბრძოლის გეგმაზე. ბურჟუაზიამ კი, რა დაინახა პროლეტარიატის ძალის შესუსტება თავი წამოყო, წელში გაიმართა და მთავრობასთან ერთად შეუპოვარი ბრძოლა დაიწყო მუშათა კლასის წინააღმდეგ.

გაჩნდენ მდიდარი სინდიკატები ფაბრიკანტებისა, რომლებმაც ლოკაუტით უპასუხეს მუშათა გაფიცვებს. დიდძალი რიცხვი მუშებისა, თავიანთი ოჯახობით, ქუჩაში გამოისროლეს. ამავე დროს, მთავრობამ, რომელსაც მეფაბრიკეების მხარე უჭირავს, ნება არ მისცა არავის ორგანიზაციულათ მოეწყო დამშეულთა დახმარება. განვლილი მწუხარების მოგონებით იმათი გული გაცივდა რაკი ვერსად ვერ დაინახეს გამოსასვლელი გზა თავიანთი მდგომარეობიდან, რის გამოც საშიშარ განსაცდელში ჩაცვინულნი მუშები მზათ არიან მიყვენ ყოველგვარ ავანტიურისტულ ქადაგებას, ოღონდ რაიმე შემწეობა კი აღმოუჩინონ მათ.

მაშ ასე, ჩვენ ვხედავთ, რომ მხოლოდ ობიექტიურმა პირობებმა რუსეთის ცხოვრებისამ გამოიწვია ტერორი ეკონომიურ ნიადაგზე.

შეიძლება, ან საჭიროა თუ არა ბრძოლა მის წინააღმდეგ?

საჭიროა თუ არა ბრძოლა? ამაზე ლაპარაკი მეტია. თითოეული შეგნებული მუშისათვის ცხადია, თუ რა უდიდესი ვნება მოაქვს ტერორს ეკონომიურ ნიადაგზე მუშათა მოძრაობისათვის. ამიტომ ჩვენ ამაზე დიდხანს არ შევჩერდებით. საინტერესოა მხოლოდ მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები იმ რეზოლიუციისა რომელიც მიიღეს ლონდონის მუშებმა კონფერენციაზე. „ტერორი ეკონომიურ ნიადაგზე ასუსტებს და აქუცმაცებს მუშათა ორგანიზაციებს, ასუსტებს კლასიურ ბრძოლას პროლეტარიისას, იწვევს უნდობლობას მისი ძალისას და ზრდის რწმენას პარტიზანულ გამოსვლისას. ტერორი ეკონომიურ ნიადაგზე ეწინააღმდეგება ძირითად პრინციპებს კლასიურ ბრძოლისას, რადგანაც ის მიმართულია კერძო პირებისაკენ და არა საზოგადოთ არსებულ სოციალიურ წყობილებისაკენ“. იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ ეკონომიური ტერორის წინააღმდეგ, ლონდის რეზოლიუცია ასე უპასუხებს: თვითეული შეგნებული მუშა ვალდებულია თესოს შეგნება დანარჩენ შეუგნებელ ამხანაგებში რომელთა შორის ანარქისტული მისწრაფება ჩვეულებრივათ პოულობს მიმდევრებს. საშუალება, რომელზედაც გვითითებს ლონდის რეზოლიუცია ძველი და ყველასაგან ცნობილია, მაგრამ ამავე დროს, ერთად-ერთი, ნამდვილი და უტყუარი საშუალებაა.

ს. თავართქილაძე.

სოფელში, ან სხვა ქალაქში, მხოლოდ სეზონის დაწყების წინ დღეებში უსათუოთ უნდა მოვიდეს, რომ თითოეული სეზონში მომუშავე მოსამსახურე ისევ თავის ძველ ადგილზე დადგეს.

ადგილების შეცვლას კონფერენცია შეუძლებლათ სცნობს. საბჭოს გადაყავს კავშირის წევრები ადგილიდან ადგილზე, ისიც მათი შეთანხმებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს.

კავშირმა აუცილებლათ უნდა მოიპოვოს წელიწადში ერთი თვით დასვენება ადგილის და ჯამაგირის შენახვით და მასთან მოსამსახურეები განთავისუფლებული უნდა იქნან დიდ დღესასწაულებში, როგორც ეს აღნიშნულია მოთხოვნებში და სხვა...

კავშირი ეწევა თავის წევრებში პროპაგანდა-აგიტაციას, აწყობს წრეებს და სხვა... რისთვისაც განსაკუთრებით იყოლიებს პროპაგანდისტებს.

მეთვრამეტე საკითხის გარჩევას კონფერენცია ზედმეტათ თვლის, რადგან ეკონომიური ტერორის წინააღმდეგია თვილისის პროფესიონალური კავშირების ცენტრალური ბიურო და აგრეთვე ყველა პროგრესიული პოლიტიკური პარტიები. ხაზეინების წინააღმდეგ ბრძოლის ასეთ საშუალებას მოსამსახურეთა კავშირი არასოდეს არ მიმართავს.

კონფერენცია ავალებს საბჭოს, ახლო მომავალში შეიმუშაოს კავკასიის მოსამსახურეთა სიეზდის კითხვების წესრიგი, დაუკავშირდნოს პროვინციალურ კავშირებს და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების სიეზდამდე მოიწვიოს კავკასიის მოსამსახურეთა სიეზდი.

საბჭოს ევალება აგრეთვე სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების სიეზდის კითხვები გადაიტანოს და გაარჩიოს ძირითად ორგანიზაციებში და ფართოთ ისარგებლოს სიეზდზე მონაწილეობის მიღების უფლებებით.

ბოლოს კონფერენცია საჭიროთ სცნობს მოსამსახურეთა მიმართ მოწოდების გამოცემას, ირჩევს სხვა და სხვა კომისიებს და მით მუშაობას ათავებს. მოსამსახურეთა კონფერენციამ ბევრი საჭირბოროტო კითხვები გადასწყვიტა, რომლებსაც არა ერთხელ განსაცდელში ჩაუგდია კავშირი. მოსამსახურეთა კავშირი დიდ უბედურებას გადაურჩა.

კონფერენციამ კავშირის მოღვაწეობას ნიადაგი მოუმზადა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამის შემდეგ მოსამსახურეთა კავშირი კიდევ უფრო გააფართოვებს თავის მოღვაწეობას და თანდათან ერთ დიდ და მძლავრ კავშირათ გადაიქცევა. მხოლოდ ამისათვის საჭიროა კავშირის საბჭოს ენერგიული მუშაობა. საჭიროა კავშირის წევრებმა ყოველი მხრივ ხელი შეუწყონ საბჭოს და იმოქმედონ ისე, როგორც ამას მოითხოვს წესდება და კავშირის ინტერესები.

ვუსურვებ კავშირის საბჭოს მუშაობის მეტ ენერგიას და მოქმედების მეტ უნარს.

აპალონ ჩამწარდაძე.

# თ ე ა ტ რ ი.

**ქართული წარმოდგენა.**

17 ოქტომბერს სახაზინო თეატრში გაიმართა დრამატიულ საზოგადოების მიერ მეორე წარმოდგენა. წარმოადგინეს 4 მოქმედებიანი პიესა „ლანგმანისა“, „ახალი ძალა“, თარგმანი ევდოშვილისა, და დრამა 1 მოქ. „დაუპატიჟებელი“ მ. მეტერლინკისა, თარგ. მ. ადამაშვილისა. ი. გომართელს რეფერატი მ. მეტერლინკზე არ წაუკითხავს, თუმცა გამოცხადებული იყო და ბევრი ამ რეფერატისათვის მოვიდა თეატრში. უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირათ ხდება ხოლმე, სწორეთ წარმოდგენის დროს გამოაცხადებენ რომელიმე უფრო ცნობილ არტისტის შესახებ: „რადგანაც ავათ გახდა, მის მაგივრათ სხვა შეასრულებს როლსაო“; ასეთი განცხადება იყო ვ. აბაშიძეზეც, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

პირველათ ითამაშეს მეტრლინკის „დაუპატიჟებელი“. ამ პატარა პიესაში პატარათ, მარა მაინც ნათლათ სჩანს მეტერლინკის ნიჭის ხასიათი და მიმართულება. ეს პიესა უფრო დასურათებული პსიხოლოგიური ეტიუდია, ვინემ სათეატრო ნაწარმოები. ავტორის მიზანია დაგვიხატოს ადამიანის სიბრალე სიკვდილის წინაშე და მისთვის სულ ერთია როგორ წარმოადგენენ ამას არტისტები. მეტერლინკის აზრით, არც შეიძლება ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოები სავსებით იქნას სცენაზე წარმოდგენილი. არტისტები მხოლოდ აფუჭებენ ნაწარმოებს; ესტეტიურ სიამოვნებას ნამდვილათ და სავსებით იძლევა მხოლოდ წაკითხვა პიესისაო ასეთი აზრი დრამატიულ ხელოვნებაზე სრულიად შეესაბამება თვით მეტერლინკის პიესას. მეტია იმის თქმა, რომ „დაუპატიჟებელი“-ს წარმოდგენა ერთობ მოსაწყენი იქნებოდა. მოწყენილობას აორკეცებდა ჩვენი არტისტების გაზვიადებულათ გაჭიანურებული თამაში. მართალია, პიესის შინაარსი ითხოვდა სიმძიმეს და სიმწუხარეს, მარა არც ამ ზომამდე. პიესის მოსმენა მაყურებელთ შეაძლებინა ტ. აბაშიძემ, რომლის თამაში მუდამ ცოცხალია და ვ. გუნიამ, რომელიც ზოგიერთ როლებში მეტათ კარგია. ამ პიესაში გუნია შეუდარებელი იყო.

ლანგმანის პიესის ღირსებას შეადგენს ის, რომ ცოცხალ სურათებს იძლევა მუშათა ცხოვრებიდან. „ახალი ძალა“ კი იქ ერთობ უგერგილოთ არის გამოხატული. ამ პიესის გუშინწინდელ ინტერესს წარმოადგენდა მოდებიუტე ქ-ნი ელ. ანდრონიკაშვილი. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა მისი თამაშით და მხურვალე ტაშისცემითაც დააჯილდოვეს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნი ანდრონიკაშვილი შეცდომით არ გამოსულა სცენაზე. მას ეტყობა დრამატიული ნიჭი. ვშიშობთ მხოლოდ, რომ ხმა არ გადაელობოს წინ იმის ნიჭს. მისი ხმა არ არის საკმაოთ მკაფიო. დიქციას კი არა უჭირდა რა. სცენაზე თავი კარგათ ეჭირა. რაც შეეფერება პირველათ გამოსულს, ეტყობოდა როლის შეგნება.

თეატრში ბევრი იყო თავისუფალი ადგილება.

# რუსეთის ამბები

**სახელმწიფო საბჭოს მარცხენა ფრთა.** სახელმწიფო საბჭოს პოლონელმა წევრებმა მოლაპარაკება დაიწყეს აკადემიურ ჯგუფთან, შეადგინონ საბჭოში ერთი მემარცხენე ფრაქცია. უკეთუ მოლაპარაკება კეთილათ გათავდა, მემარცხენეები 37 წევრს შეადგენს. ასეთი ძლიერი მარცხენა ფრთას შედგენა სახელმწიფო საბჭოში ფრიად საყურადღებოა.

**პოლიციის გაზეთი.** „ოსვედ. ბიუროს“ ერთი თანამშრომელი კუკი ფრიად მნიშვნელოვან საქმეს შესდგომია და იმედი აქვს ახლო მომავალში კეთილათ დააგვირგვინებს ამ საქმეს. მისი მეოხებით პეტერბურგში გამოვა გაზეთი „პოლიციის უწყება“.

**პოლიტიკური გადასახლებულის თავის მოკვლა.** როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მიუღია, ამ დღეებში იაკუტსკის გუბერნიიდან გაქცეული პოლიტიკური გადასახლებული შიტცი ტყეში უნახავთ სანადირო თოფით მოკლული.

**როგორ მოელანდა „ჭეშმარიტ რუსს“ ხუცესი გაპონი.** ამ დღეებში სადგურ „მინერალ. წყლები“-დან პიატიგორსკისკენ მიმავალ მატარებლის მეორე კლასის ვაგონში ფანჯარასთან მჯდარა ვიღაც ახალგაზდა მღვდელი, რომელიც თავისთვის გაზეთს კითხულობდა. იმავ ვაგონში მჯდარა, როგორც ბოლოს გამოირკვა პიატიგორსკის რუსთა კავშირის წევრი. ამ კეთილ მორწმუნეს მოლანდებია, რომ უცნობი ხუცესი ნამდვილათ გაპონი იყო, რადგან ძალიან გავდა მას. ამ მოსაზრებით ის მიუჩოჩდა ხუცესს და თავი ს.-რევოლიუციონერათ გააცნო და თან შეეკითხა: „გაპონი ხომ არ ბრძანდებითო“. ხუცესმა პასუხი არ გასცა და ჩაიცინა. კეთილ მორწმუნე ამან საბოლოოთ დაარწმუნა, რომ ხუცესი გაპონი იყო, რაც დანარჩენ მგზავრებსაც შეატყობინა. ამ აღმოჩენამ დიდი ცნობის მოყვარეობა აღძრა მგზავრებში. ხუცესს გარს შემოერტყენ, ერთმა ჯაშუშმა სურათის გადასაღებათ აპარატიც კი დაუმიზნა. „ჭეშმარიტი“ კეთილ-მორწმუნეს სიხარულს საზღვარი ar ქონდა. მან ხმა მაღლა აღიარა, რომ მახლობელ სადგურზე ხუცესს დავიჭერთო. ამაზე ხუცესი შეშინდა და დიდის ვაი-ვაგლახით და საბუთის ქაღალდებით დაამტკიცა, რომ ის გაპონი არ იყო. ახლა ხუცესმა დაიწყო ყვირილი და „ჭეშმარიტ რუსს“ დაემუქრა შენ ს.-რევოლიუციონერი ხარ და დაგიჭერო. „ჭეშმარიტი რუსი“ ხუცესზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდა და ისიც იძულებული გახდა საბუთის ქაღალდებით დაემტკიცებია, რომ ის პიატიგორსკის „რუსთა კავშირის“ ცნობილი წევრი იყო. ასე ახირებულათ გათავდა ეს ახირებული ამბავი.

**აფიცრების გაძარცვა.** 29 სექტემბერს დაშლაგარში სანადიროთ წასულა სამურის პოლკის სამი აფიცერი: პოდპოლკოვნიკი ბაბკოვი, კუზნეცოვი და პორუჩიკი თეთრაძე. სამივე თავიდენ-ფეხებამდე იარაღში მსხდარა. ნადირობის გათავების შემდეგ დაუსვენიათ გზის პირათ და იმ დროს, როცა ტკბილ მუსაიფსა და ჩაის სმაში ყოფილან, თავს წასდგომია სამი უცნობი, სამივესთვის ყველა იარაღები აუყრიათ, ხანჯლები, პალტოები და ტუჟურკები გაუხდიათ, და პერანგის ამარა დაუტოვებიათ. ფულათაც 26 მანეთი წაუღიათ. წასვლის დროს აფიცრებისთვის უთქვამთ: „ეხლა წადით თქვენ შინაზე და თუ გინდათ მთელი ბატალიონი გამოგზავნეთ ჩვენ დასაჭერათო“. ამ უცნაურ ამბავს ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია აფიცრებზე და დაღონებული დაბრუნებულან შინ.

**მეორე დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის შესახებ.** პეტერბურგის ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია ამ დღეებში შეეკითხა სხვა და სხვა ფაბრიკა-ზავოდების მუშებს—თანახმა არიან თუ არა მეორე დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის გასამართლების დღეს ერთი დღით გაფიცვა მოახდინონ. ჯერ-ჯერობით 28 ფაბრიკა-ზავოდიდან მიუღიათ პასუხი. ამათგან 24 გაფიცვის მომხრეა, ხოლო 4 წინააღმდეგი. გაფიცვის შესახებ ზოგიერთმა პროფესიონალურმა კავშირებმაც გამოიტანეს რეზოლიუციები.

**დეპუტატი იზმაილოვი.** თფილისში დაჭერილ მეორე დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის წევრს, დეპუტატ იზმაილოვს, ამ დღეებში ჩვენება ჩამოართვეს.

**მესამე დუმა და მთავრობის იმედები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებით, არჩევნების შესახებ, მთავრობა მეტის-მეტათ კმაყოფილია. უმაღლეს წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ კაბინეტს და დუმას შეეძლება შეთანხმებულათ მუშაობა და დაიხსნიან რუსეთს დაღუპვისაგან, სტოლიპინი ბოლომდე მიიყვანს თავის დიდებულ საქმეს. წაიკითხავს დუმაში დეკლარაციას და დუმის მუშაობას „მოაწესრიგებს“.

სტოლიპინთან დაახლოვებული პირნი ამბობენ, რომ დუმის შესახებ ის იხელმძღვანელებს შემდეგი თეზისებით; 1) არამც და არამც არ დაუთმოს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ საკითხში; 2) არ დაუთმოს ამნისტიის შესახებ საკითხში, ამნისტიის გამოცხადება ყოვლად შეუძლებელია; 3) აგრარულ საკითხში გადაჭრით უარყოფილ იქნება ძალათ ჩამორთმევის პრინციპი; 4) რეფორმების გატარება მტკიცეთ დამყარებული იქნება 17 ოქტომბრის მანიფესტზე. ასეთი აზრის იყო სტოლიპინი იმ წუთიდინ, რაც ის თავის ალაგზე გამაგრდა და ამ აზრითვე გამოდის ის მესამე დუმაში.

**პეტერბურგის სამღვდელოთა ჯგუფი.** რადგან პეტერბურგის არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ შეიტანა თავის სიაში სამღვდელოება, მათ შეუდგენიათ ცალკე ჯგუფი და განცალკევებით აპირებენ არჩევნებზე გამოსვლას. სხვათა შორის, ჯგუფს მიუმართავს ქალაქის თავისთვის და წინადადება მიუცია კანდიდატობაზე, მაგრამ მან თურმე უარი განაცხადა, რადგან ერთი რომ, დრო არა მაქვს და მეორეთ არ მინდა ხმა მოვაკლო იმ პარტიას, რომელსაც მე ვეკუთნიო. სამღვდელოება მაინც გულს არ იტეხს და გადაჭრით გამოდის განცალკევებით. კანდიდატათ სხვათა შორის რეზცოვი წამოუყენებიათ.

**მთელი ოჯახის დახოცვა.** 11 ოქტომბერს ქ. ელისავეტოგრადის ახლოს თავის მამულში დაუხოციათ საეროზო უფროსი კელეპოვსკი (ყოფილ დეპუტატ კელეპოვსკის ახლო ნათესავი) მისი დედა, ცოლი და ორი შვილი. თერთმეტ ოქტომბერს საღამოს შვიდ საათზე კელეპოვსკისთან მისულა 20 კაცი, ჯერ ყოველ მხრიდან თოფები დაუშენიათ და შემდეგ სახლში შეცვივნულან, სროლის დროს, როგორც ამბობენ, კელეპოვსკი, მისი ცოლი, ორი შვილი, დედა, მოსამსახურე ქალი და და სახლის სახურავზე ასულან და იქ დამალულან, მკვლელებს მოუნახავთ ისინი და დაუხოციათ. კელეპოვსკის და მისი ცოლის მოკვლის შემდეგ მკვლელებს წაუღიათ ექვსი მანეთი და გაქცეულან.

ცოტა ხნის შემდეგ სროლის ხმაზე კელეპოვსკის სახლში მისულან გლეხები. კელეპოვსკის დას უფიქრია მძარცველები ისევ დაბრუნდენო, რევოლვერი დაუხლია და თავი მოუკლავს. ამ მკვლელობამ დიდი მღელვარება გამოიწვია მთელ მაზრაში. მეორე დუმის ყოფილ წევრს, კელეპოვსკის, დეპეშით უთხოვნია სტოლიპინისათვის განსაკუთრებული ზომები მიიღეთო.

**ნოვომოსკოვის გუბერნატორი და პირველი მაისი.** გაზაფხულზე ნოვომოსკოვის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა წესები სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ. ქალაქის საბჭოს დაუდგენია სხვა უქმეებთან ერთათ, პირველ მაისის დღესასწაულობაც, საგუბერნიო საკრებულომაც დაამტკიცა საბჭოს გადაწყვეტილება, მაგრამ გუბერნატორი სასტიკათ ამხედრებულა ამ დადგენილების წინააღმდეგ. მისი აზრით, პირველ მაისის დღესასწაულობით ქალაქის საბჭო ხელს უწყობს ს.-დემოკრატიას განახორციელოს თავის იდეია და მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინოს ამ დღეს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ნოვომოსკოვის ქალაქის საბჭოს, რომ პირველ მაისის დღესასწაულობა ვაჭრების ძალათ თავზე მოხვევაა იმ იდეის, რომელიც მას არ სცნობს და ამიტომ ეს დღე უნდა ამორიცხულ იქნეს უქმე დღეებიდანო.

**ტუსაღის დაწვა.** იაროსლავლში 7 ოქტომბერს, ღამით, საგუბერნიო ციხეში საზარელი ამბავი მოხდა. პოლიტიკურმა ტუსაღებმა მიხეილ კუდრიავცევმა ტანზე ნავთი გადაისხა და ცეცხლი მოიკიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ის დაიწვა. მეორე დღეს მიცვალებული ისე დამარხეს, რომ მშობლებსაც აღარ აჩვენეს. ამ ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია მთელ ქალაქში.

**მუშათა მიტინგი.** ამ დღეებში ქალაქ ჰელსინგფორსში (ფინლიანდია) მუშებს დიდი მიტინგი გაუმართავთ, რომელზედაც აგიტაციას ეწეოდენ ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში საარჩევნო უფლებების გაფართოების შესახებ, მიტინგზე პროტესტი გამოაცხადეს მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს ფრთები შეაკვეცოს კრების თავისუფლებას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მას შემდეგ, რაც რომ „ნიშადურმა“ ვიდაც მეტიჩარა „პოეტის“ პირით უგვანოთ შეურაცხყო პატივცემული ამხ. ფ. მახარაძე, და საზოგადოთ სოციალდემოკრატების დანძღვა-გინება თავის დევიზათ გაიხადა, მე უარს ვაცხადებ „ნიშადურში“ მონაწილეობაზე და ვწყვეტ მასთან ყოველივე დამოკიდებულებას.

მიმინო.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

17 ოქტომბერი

**ვლადივოსტოკი.** დღეს კონტრ მინანოსც „სკორის“ კამანდა გარეშე აგიტატორთა გავლენით, რომელთა შორისაც ერია ერთი ებრაელი ქალი—აჯანყდა. აავრიალეს წითელი დროშა. შემდეგ გამოვიდენ რეიდზე და დაუშინეს როგორც ქალაქს, აგრეთვე ყაზარმებს. კონტრ მინანოსცის „გროზოვის“, „სმელისა“ „სერდიტის“ და აგრეთვე 12 მსროლელთა პოლკის დახმარებით აჯანყებული კონტრ მინანოსეცი „სკორი“ ყუმბარებით დახვრეტილი ნაპირზე გამოირიყა. „სკორიზე“ მყოფი აგიტატორები დაიხოცენ. გადარჩენილი ნაწილი კამანდისა დაიჭირეს. შეტაკების დროს მოკლულ იქნა ნაღმოსანი „ბრავის“ კამანდირი მეორე რანგის კაპიტანი კუროში, ლეიტენანტი შტერი. დაიჭრა კონტრ ნაღმოსანის „სერდიტის“ კაპიტანი ლეიტენანტი ვასილიევი. რამოდენიმე კაცი შემთხვევით ქალაქშიაც არის მკვდარი. ენერგიული გამოძიება სწარმოებს. ქალაქში სიწყნარეა. ციხეში საალყო წესები გამოაცხადეს.

**ტაშკენტი.** მიწის ძვრისა გამო 8 ოქტომბერს კარადაგის მახლობლად [illegible] ჩამოინგრა, რომელმაც ქვეშ მოიტანა 15000 კაცის სული. [illegible] მისი დედა.

**ლონდონი.** (რეიტერი) პოლიციამ მიიღო ენერგიული ზომები დოუხინის ქალის აღმოსაჩენათ.

**ვიატკა.** დღის 12 საათზე, როდესაც გუბერნატორი, თავ. გორჩაკოვი თავის მეუღლით სობოროდგან ბრუნდებოდა, მოსკოვის ქუჩაზე, ყოფილ საერობო უფროსის შვილმა, ლივეცკიმ გიმნაზიიდგან ახლათ გამორიცხულმა —გუბერნატორის ეტლს ბომბა ესროლა, რომელიც არ გასკდა. ამ დროს გამვლელმა ჩერქეზმა მოკლა ლივეცკი, რომელიც რევოლვერს უმიზნებდა გუბერნატორს.

**ვიატკა.** მონარქისტული პარტიის მეთაურობით გარდახდილ იქნა პარაკლისი იმ ადგილას, სადაც თავ. გორჩაკოვს ბომბა ესროლეს. ამის შემდეგ დეპუტაციამ გორჩაკოვს ხატი მიართვა. დაატუსაღეს რამოდენიმე პირი. საშინელი ჩხრეკაა. აღმოაჩინეს აუარებელი არალეგალური ლიტერატურა, ასოები და პროკლამაციები.

**ლიუბლინი.** დღის 5 საათზე ლიუბლინიდან ოთხი ვერსის მანძილზე მოკლეს რაკოვსკი, მოურავი გრაფ მავროკ-ზამოისკის მამულისა. მკვლელობის მოწმე მწყემსის სიტყვით, თავდამცემლები შვიდნი იყვნენ, მსროლელი ორი.

**ჩერნიგოვი.** გუბერნიაში ხოლერით ავათ გახდა 68, გარდაიცვალა 34.

**ორიოლი.** გაძარცვეს ყირიატინის ფოშტის განყოფილება ტრუბჩევის მაზრაში.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრმა ნება დართო დეკემბრისთვის ბაქოს ნავთის მრეწველთა მორიგი სიეზდი. სიეზდის პროგრამა დამტკიცდა. სხვათა შორის შეტანილია კითხვა მუშების ბინების მოწესრიგების შესახებ.

**სევასტოპოლი.** საზღვაო სამხედრო სუდში ირჩევა საქმე აწ უკვე გაქცეულის, ჯავშნიან გემის „კნიაზ პატიომკინ ტავრიჩესკის“ მატროსის მატიუჩენკოსი, რომელსაც ბრალდება აჯანყებაში მხურვალე მონაწილეობა, როდესაც მოკლეს და ზღვაში გადაყარეს კამანდირი, აფიცრები და ექიმი.

**ვარშავა.** 16 ოქტომბერს საღამოთი ნოვოლიპის და ვოლინსკის ქუჩაზე რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს პარტიულ ნიადაგზე ორი მუშა.

**ლონდონი.** (რეიტერი) აღმოაჩინეს დოუხინის ქალი. ამჟამათ ქალი იმყოფება ლონდონში ახლათ ჩამოსულ მამასთან (?).

რედაქტორ-გამომცემელი

**იოსებ ზ. გიორგობიანი**


# განცხადებანი

**ახალი სამოსახლოები**

## ი ყ ი დ ე ბ ა

ვერაზე, ახლად შეძენილი ადგილი მაკაროვებისაგან, რომელიც მდებარეობს მალაკნებსა და „სალხინოს“ შუა. ეს ადგილი მდებარეობს მუშტაიდის გაღმა, მშვენიერი მდებარეობა აქვს. შიდ გადის ლისის შოშის გზა, გვერდზე ყულის სამხედრო შოშის გზა და იქვე გადის ის გზა, რომელიც უნდა ხიდით შეუერთდეს მომავალში მიხაილოვის უქჩას. საბურთალოზე ამისთანა ძვირფასი ადგილი აღარ დარჩენილა ხალხისათვის ხელმისაწვდომათ. თითო სამოსახლო 108—120 ოთხკუთხედ საჟენს შეიცავს. ვადა ფულის გასტუმრების ერთი წელიწადია და უნდა თვე და თვე შემოტანილ იქნას მეთორმეტედი ნაწილი. (ფულის შემოტანის ვადა იწყება 1 სექტემბრიდან). ადგილები დამტკიცდება ამ ვადის გასვლის შემდეგ. ფასები ნაირ-ნაირია, ოთხკუთხედ საჟენზე ქუჩების გამორიცხვით, კანტორის და სხვა ხარჯების გამორიცხვით, გარდა დამტკიცებისა 3 მანეთიდან დაწყებული 7 მანეთამდე. შვიდ მანეთიანი სამოსახლოები უკვე გაყიდულია.

**პატივისცემით:** სევასტი მ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თორთლაძე და ი. ბახტაძე.

(10—ფ.—9)


მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.